ARCHI GROUP
Development / Investment / Hospitality

რწმუნებულება

ორი ათას ჩვიდმეტი წლის შვიდ თებერვალს, **ნინო ღოღობერიძე** (პირადი №01017018775), როგორც **შპს "არქი"-ს** (რეგისტრაციის თარიღი: 05/01/2005წ.; ს.ნ. 200120975, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ყიფშიძის შესახვევი 15, სართული 3) დირექტორი, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც ***"მარწმუნებელი"***, **შალვა კოხრეიძეს** (დაბადების თარიღი: 07.04.1986; გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი: სამტრედია, რიონის ქ. №68; პირადი №37001014798), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც ***"რწმუნებული"***, ანიჭებს უფლებამოსილებას კომპანიის სახელით განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

1. წარმოადგინოს მარწმუნებელი ქ. თბილისის მერიაში და მის საქალაქო სამსახურებში, მათ შორის თბილისის არქიტექტურაში, რათა განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მშენებლობის პროექტის შეთანხმებასთან ან/და მშენებლობის ნებართვის აღებასთან, კორექტირებასთან, ექსპლუატაციაში მიღებასთან ან/და დემონტაჟთან და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება, წარადგინოს არქიტექტურული პროექტი შესათანხმებლად, განახორციელოს პროექტის კორექტირება / შეიტანოს ცვლილებები არსებულ პროექტში, აგრეთვე შეიტანოს განცხადებები, მოითხოვოს გრგ-ს კორექტირება, წარადგინოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა და დოკუმენტი მარწმუნებლის სახელით; მოაწეროს ხელი ნებისმიერ დოკუმენტს მარწმუნებლის სახელით და განახორციელოს ყველა მოქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება ზემოთ აღნიშნული დავალებების შესრულებასთან, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არაა გათვალისწინებული ამ რწმუნებულებით, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.
2. არავინ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილება იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში ის ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი;
3. წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია სამი წლის ვადით.

ნინო ღოღობერიძე

შპს "არქი"-ს დირექტორი

07.02.2017

საქართველო, 0162 თბილისი
ყიფშიძის ქ. 15 | 15 Kipshidze Street 0162, Tbilisi, Georgia | ტელ/Tel: (+995 322) 602 602
ფაქსი/Fax: (+995 322) 388 227 | info@archi.ge
www.archi.ge